პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 300 (19741) ოთხშაბათი, 31 დეკემბერი, 1986 წელი. ◆ ფასი 3 კაპ.

ჩვენი ბავშვობის გაზეთის „ნორჩი ლენინელის“ დაბადების დღე 1924 წლის პირველი ოქტომბერია. გაზეთს მაშინ „ახალგაზრდა პიონერი“ ერქვა და მისი პირველი ნომრის ტირაჟმა სულ ორი ათასი ცალი შეადგინა, ახლა კი 840 ათასია.

მაგრამ ციფრები ვერ გამოხატავენ ნორჩ მკითხველებზე ამ გაზეთის გავლენის დონეს, მის როლს ჩვენი ბავშვების სულიერ, ზნეობრივ, მოქალაქეობრივ ჩამოყალიბებაში. და სამშობლომაც ღირსეულად დაუფასა გაზეთს ამაგი, საპატიო მისიის ერთგულება, რომელიც ექვსი ათწლეულის განმავლობაში გამოიჩინა.

ნორჩი ლენინელი

წლის მონაგარი 1986

დაიწყო ჩრდილოეთ კავკასია-ამიერკავკასიის, „მოზდოკ-ორჯონიკიძე-საგურამო-თბილისის გაზსადენის მშენებლობა. ეს ტრასა თავისი გადაწყვეტით უნიკალური და ურთულესი იქნება საბჭოთა კავშირში. ეს გაზსადენი სულ ცოტა 2000 წლამდე მთლიანად უზრუნველყოფს საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანის გაზით მომარაგებას.

რესპუბლიკაში მთელი რიგი სამინისტროებისა და უწყებების ბაზაზე შეიქმნა სახელმწიფო აგროსამრეწველო კომიტეტი, რომელიც საშუალებას იძლევა უკეთ ვმართოთ მრავალდარგოვანი კომპლექსი, ძირითადი ყურადღება დავუთმოთ ინტენსიფიკაციის ფაქტორებს, უზრუნველვყოთ დაგეგმვის, დაფინანსებისა და მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების ერთიანობა.

მარცვლოვანი და პარკოსანი კულტურების მოვლა-მოყვანის ინტენსიური ტექნოლოგია დაინერგა 38,7 ჰექტარზე, რითაც მნიშვნელოვნად მოიმატა ჰექტარობრივმა მოსავლიანობამ და წლეულს პირველად მრავალი წლის განმავლობაში შესრულდა მარცვლეულის წარმოების გეგმა-დავალება.

მიწების გასარწყავებისა და დაშრობის სამუშაოები განხორციელდა და სავარგულების ოქროს ფონდს შეემატა 13 ათას 500 ჰექტარი.

აგრომრეწვის ტექნიკურ პოტენციალს შეემატა 10 ათასზე მეტი ტრაქტორი, სატვირთო ავტომობილი, კომბაინი და ტრაქტორის მისაბმელი, ხოლო შეძენილი სხვა სასოფლო-სამეურნეო მანქანა-იარაღების ღირებულებამ 26 მილიონი მანეთი შეადგინა.

რესპუბლიკურმა გაერთიანებამ „საქაგრომშენმა“ 432 მილიონი მანეთის სამშენებლო სამუშაოები შეასრულა, რითაც წლიური გეგმა გადამეტებით არის რეალიზებული.

საზღვარგარეთის (გფრ, იაპონია) ფირმებმა საქართველოს მეცნიერებისა და კონსტრუქტორების ნამუშევრების 5 ლიცენზია შეიძინეს.

ჰელიოდანადგარების მზის ენერგიის მიმღები კოლექტორების ფართობი გაიზარდა 10.000 კვადრატული მეტრით.

შემუშავდა კომპლექსური პროგრამა „საქართველო: მეცნიერება, ტექნიკა, ხარისხი — 90“.

ავტორთა ჯგუფს — კინოდრამატურგ ხულიკო ჟღენტს, დამდგმელ რეჟისორს რევაზ ჩხეიძეს, კინოოპერატორ ლომერ ახვლედიანს, მთავარი როლის შემსრულებელს თემურ ჩხეიძეს ლენინური პრემია მიენიჭა ფილმისთვის „მშობლიური ჩემო მიწავ“ („რაიკომის მდივანი“).

მუშაობა მიმდინარეობდა 113 არქიტექტურულ და 9 ფერწერულ ძეგლზე. წელს 40 ძეგლი უკვე რესტავრირებულია.

სსრ კავშირის სახალხო არტისტის წოდება მიიღო მოსკოვის დიდი თეატრის სოლისტმა მაყვალა ქასრაშვილმა.

მარია კალასის სახელობის პრემია მიენიჭა თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის სოლისტს, რესპუბლიკის სახალხო არტისტს პაატა ბურჭულაძეს.

ამერიკის შეერთებული შტატების ქალაქ ჯექსონში გამართულ ბალეტის საერთაშორისო კონკურსზე ნინო ანანიაშვილმა „გრან პრი“ და ოქროს მედალი დაიმსახურა.

მსოფლიო ჩაჭადრაკო ოლიმპიადაზე ბრწყინვალედ გაიმარჯვა სსრ კავშირის ქალთა ნაკრებმა, რომელიც მთლიანად საქართველოს მოჭადრაკეებით იყო დაკომპლექტებული; სსრ კავშირის საზაფხულო მეცხრე სპარტაკიადაზე მოპოვებული შედეგებით აღინიშნა თვისებრივი წინსვლა — წინა, მერვე სპარტაკიადაზე საქართველოს სპორტულმა დელეგაციამ არაოფიციალურ ჩათვლაში მხოლოდ X ადგილი დაიკავა, ამჯერად კი VII; პირველად საბჭოთა ფეხბურთის ისტორიაში რაიონული ცენტრის გუნდი უმაღლეს ლიგაში გადავიდა.

მონაგარი ემრავლოს მუშოგლიურ რესპუბლიკას მომავალ, 1987 წელს!



ჩვენი ბავშვობის გაზეთი

მოზარდი თაობის კომუნისტური აღზრდის საქმეში ნაყოფიერი მუშაობისათვის გაზეთი „ნორჩი ლენინელი“ „საპატიო ნიშნის“ ორდენით დაჯილდოვდა.

გაზეთს ეს ჯილდო გადაეცა 28 დეკემბერს საქართველოს ალკკ ცენტრალურ კომიტეტში.

შეხვედრა გახსნა საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ჯ. ვ. მარგველაძემ.

შემდეგ გამოვიდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ჯ. ი. პატიაშვილი. მან მიულოცა გაზეთის კოლექტივს, მის აქტივს ჩველა ნორჩ კორესპონდენტს სახელოვანი იუბილე და საპატიო ჯილდო. კიდევ ერთხელ აღინიშნა „ნორჩი ლენინელის“ უდიდესი მნიშვნელობა იმათ აღზრდაში ვინც XXI საუკუნეში უნდა იცხოვროს და იღვაწოს. შეკრებილთა ტაშის გრიალში „საპატიო ნიშნის“ ორდენი გაზეთის დროშას მიაბნიეს.

გაზეთის რედაქტორმა ი. ნ. ცერაცვაძემ გულწრფელი მადლობა გადაიხადა გაზეთის დამსახურების ესოდენ დიდი აღიარებისათვის. მან პირობა დადო, რომ რედაქციის კოლექტივი კვლავაც პარტიის ერთგული თანაშემწე იქნება ნორჩი ცვლის აღზრდის საქმეში.

შეხვედრას დაესწრნენ ამხანაგები ვ. ი. ალავიძე, გ. ნ. ენუქიძე და გ. გ. გუმბარიძე.

(საქინფორმი).

სიბრძნისა და შემართების შენადნობი

ვეტერანთა ორდენებისა და მედლების ელვარება. თითქოს მათ მიერ განვლილ გზას აციცყროვნებდეს. ამ ჯილდოთაგან თითოეული დაკავშირებულია ჩვენი სამშობლოს ბიოგრაფიის შესანიშნავ და სახელოვან ფურცლებთან. მაგრამ დღესაც უფროსთა საქმეები და მიღწევები სამაგალითოა ახალგაზრდებისათვის.

თაობათა მემკვიდრეობითობის განსახიერება გახდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში გამართული შეხვედრა რესპუბლიკის პარტიის, კომკავშირის, ომისა და შრომის ვეტერანებთან, ახალგაზრდობის წარმომადგენლებთან.

შეხვედრის დაწყების წინ მისმა მონაწილეებმა, ტრადიციისამებრ, გვირგვინითა და ყვავილებით შეამკეს ვ. ი. ლენინის ძეგლი საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის შენობასთან.

ისინი შეიკრიბნენ როგორც კეთილი მეგობრები და თანამებრძოლები, რომლებსაც არასოდეს არ ელევათ საუბრის, მსჯელობისა და ფიქრის თემა. გავლილია თავდადებული შრომის კიდევ ერთი წელი, რომელიც ისტორიაში შევა, როგორც ცხოვრების ყველა სფეროში გარდატეხის დრო, როგორც სკკპ XXVII ყრილობის წელი. და ღრმად სიმბოლურია, რომ თითოეული ჩქარობს სხვებს გაუზიაროს თავისი აზრი და სამომავლო გეგმები. სწორედ ამიტომაც აქ ოპტიმიზმი და ახალგაზრდული შემართება სუფევდა, რამაც ყველა გაერთიანა ერთსულოვან ოჯახად განვლილი წლების მიუზედაოდ.

შეხვედრაზე გამოვიდნენ პოეტ-აკადემიკოსი, სოციალისტური შრომის გმირი ი. ბ. აბაშიძე, გუდაუთის რაიონის ვეტერანთა საბჭოს თავმჯდომარე, ხანდაზმულთა ანსამბლის „ნართაას“ ხელმძღვანელი, აფხაზეთის ასსრ კულტურის დამსახურებული მუშაკი ი. ტ. ლაკერბაია, თბილისის ელექტროვაგონშემკეთებელი ქარხნის ზეინკალი, საქართველოს ვ. ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის სტუდენტი მ. გ. გაჩეჩილაძე, სსრ კავშირის სახალხო არტისტი, სოციალისტური შრომის გმირი ვ. ი. ანჯაფარიძე, ქობულეთის რაიონის ბობოყვათის ჩაის ფაბრიკის დირექტორი, სოციალისტური შრომის გმირი ნ. ა. ჩელებაძე, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ომის ვეტერანთა საბჭოს თავმჯდომარე, გადამდგარი

(დასასრული მე-2 გვ.)

ოდენაკვეთა რიგებში

რუსთავი. გაერთიანება „აზოტის“ კაპროლაქტამის წარმოებაში მოწინავეთა რიგებშია ის ცვლა, რომელსაც ახალგაზრდა კომუნისტი ელგუჯა იაკობაშვილი ხელმძღვანელობს. საამქროს ოპერატორია ნათელა ლაზარიანცი. იგი პოლიტექნიკური ტექნიკუმის დამთავრების შემდეგ მოვიდა საწარმოში და შვიდი წელია აქ მუშაობს. — საამქროს მეაპარატეა კომკავშირელი ნინო აბრამიშვილი. იგი ახალგაზრდული ბრიგადის ხელმძღვანელია.

სურათებზე: ცვლის უფროსი ელგუჯა იაკობაშვილი; ნათელა ლაზარიანცი და ნინო აბრამიშვილი.

დ. იაკობიძის ფოტო.

მ. ს. გორბაჩოვი შეხვდა ა. კუნიალს

29 დეკემბერს მ. ს. გორბაჩოვი შეხვდა პორტუგალიის კომპარტიის გენერალურ მდივანს ა. კუნიალს, რომელიც გავლით იმყოფებოდა მოსკოვში.

მ. ს. გორბაჩოვი მიესალმა ა. კუნიალს და ხაზგასმით აღნიშნა, რომ საბჭოთა კომუნისტები დიდად აფასებენ პორტუგალიის კომპარტიასთან ძმურ მეგობრობასა და თანამშრომლობას, რომელიც ემყარება საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და პორტუგალიის კომუნისტური პარტიის ერთგულებას, საერთო მიზნებისა და იდეალებისადმი.

გაიმართა საფუძვლიანი აზრთა გაზიარება თანამედროვე ვითარების დიდმნიშვნელოვან პრობლემებზე — რეკიციავიკის შედეგების შესაბამისად გამალებული შეიარაღების შეწყვეტის, ევროპასა და ჩვენი პლანეტის სხვა რეგიონებში უშიშროების განმტკიცების გზებზე. განიხილეს ისტორიული განვითარების ამჟამინდელ გარდამტეხ ეტაპზე საერთაშორისო კომუნისტური და მუშათა მოძრაობის თანამოქმედების გაძლიერების საკითხები, აღნიშნეს, თუ რაოდენ დიდი მნიშვნელობა ენიჭება კომუნისტთა (ოცხალი ურთიერთობისა და თანამშრომლობის ახალი, დროის სულისკვეთების შესაბამისი ფორმების ძიებას. ყველა განსახილველ საკითხზე დადასტურდა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის და პორტუგალიის კომპარტიის შეხედულებათა ერთიანობა და სრული ურთიერთგაგება.

მ. ს. გორბაჩოვმა ილაპარაკა საბჭოთა საზოგადოებაში მიმდინარე ღრმა გარდაქმნის შესახებ, თქვა, რომ მისი ყოველმხრივი განახლების პროცესში სულ უფრო ფლეერდება პოზიტიური ძერები, აღნიშნა ამ გზაზე არსებული სიძნელენი და პრობლემები.

ა. კუნიალმა განაცხადა, რომ პორტუგალიელი კომუნისტები გულხრელად უჭერენ მხარს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის საქმიანობას XXVII ყრილობის კურსის განსახორციელებლად, და დასძინა, რომ სსრ კავშირში მიმდინარე ცვლილებები, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს დინამიკური მშვიდობისმოყვარეული საგარეო პოლიტიკა პორტუგალიაში ფართო, დაინტერესებულ გამოხმაურებას პოვებს.

პორტუგალიის კომპარტიის გენერალურმა მდივანმა გააშუქა პარტიის ბრძოლა მშრომელთა ინტერესების, ქვეყნის ეროვნული ინტერესებისათვის, მშვიდობისა და განიარაღების საკეთილდღეოდ პორტუგალიის აქტიური პოლიტიკისათვის.

მ. ს. გორბაჩოვმა და ა. კუნიალმა ხაზგასმით აღნიშნეს, რაოდენ დიდი მნიშვნელობა აქვს ევროპაში მშვიდობისა და უშიშროების დამკვიდრებისათვის საბჭოთა კავშირისა და პორტუგალიის ურთიერთობის დონის ამაღლებასა და ორმხრივ ხელსაყრელი თანამშრომლობის განვითარებას.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა და პორტუგალიის კომპარტიის გენერალურმა მდივანმა განაცხადეს, რომ ორივე პარტია ესწრაფვის კვლავაც განმტკიცონ მეგობრობა და სოლიდარობა საბჭოთა და პორტუგალიელ კომუნისტებს შორის.

(საკდესი).

მისალოცი დეპეშები

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა მისალოცი დეპეშა გაუგზავნა ამხანაგ კიმ ირ სენს იმის გამო, რომ კვლავ აირჩიეს კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის პრეზიდენტად.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ გულითადად მიულოცა ამხანაგი გინ მოს კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის ადმინისტრაციული საბჭოს პრემიერის პოსტზე დანიშვნა.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილება

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს „ხუთწლედის მატიანის“ პრემიების მინიჭების შესახებ

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ადგენენ:

— მიღებულ იქნეს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული შოთა რუსთაველის სახელობის ლიტერატურის, ხელოვნებისა და არქიტექტურის დარგის სახელმწიფო პრემიების კომიტეტის წინადადება იმის შესახებ, რომ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1986 წლის „ხუთწლედის მატიანის“ პრემიებით დაჯილდოვდნენ:

ლიტერატურის დარგში

მიშველაძე რევაზ ავქსენტის ძე, მწერალი — უკანასკნელ წლებში შექმნილი ნოველებისათვის, რომლებიც შესულია კრებულში „ჯაჭვი“.

მუსიკის დარგში

ცაბაძე გიორგი გაბრიელის ძე (სიკვდილის შემდეგ), კომპოზიტორი — 1985-1986 წლებში შექმნილი ნაწარმოებებისათვის: „კანტატა კომუნისტზე“, „ჩემო თბილისო-ქალაქო“, „ჩემი საქართველო აქ არის“, „მთელი წელია“, „გოგლაური“.

სახვითი ხელოვნების დარგში

შალიკაშვილი ანა ვალერიანის ასული, მხატვარი — უკანასკნელ წლებში შესრულებული გრაფიკული ნამუშევრებისათვის.

თეატრალური ხელოვნების დარგში

ჩიგოგიძე ვასილ კლავდიუსის ძე, რეჟისორი — ქ. მახარაძის ა. წეწუნავას სახელობის სახელმწიფო დრამის თეატრში ნ. დუმბაძისა და გ. ლორთქიფანიძის „მე ვხედავ მზეს“ პიესის დადგმისათვის.

კინოსა და ტელევიზიის დარგში

ეხაძე რეზო პარმენის ძე, დამდგმელი რეჟისორი, **დოლიძე ამირან მათეს ძე,** სცენარისტი, **პაატაშვილი ლევან გიორგის ძე,** დამდგმელი ოპერატორი — მხატვრული ფილმის „ნეიღლონის ნაძვისხის“ შექმნისთვის.

არქიტექტურის დარგში

აბრამაშვილი ვახტანგ გრიგოლის ძე, ბუკია შვილი ნარგიზა მიხეილის ასული, არქიტექტორები, — თბილისის ფეხსაცმლის საწარმოო გაერთიანება „ისნის“ საბავშვო ბაგა-ბაღის არქიტექტურული გადაწყვეტისათვის.

პუბლიცისტიკის დარგში

შავლიაშვილი მედეა სიმონის ასული, მწერალი, მხატვრულ-პუბლიცისტური წიგნისა თვის „არაგვის ხეობაში“.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი
ჯ. პატიაშვილი

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე
ო. ჩერქეზია

სიბრძნისა და შემართების შენაღნობი

(დასასრული)

პოლკოვნიკი ს. ბ. ჯაბიევი, პარტიის ვეტერანი მ. დ. ჩუბინიძე, ენგურჰესის მემონტაჟეთა ბრიგადირი, ომისა და შრომის ვეტერანი, სოციალისტური შრომის გმირი ა. გ. ოლეინიკოვი, საქართველოს ფიზიკულტურული და სპორტული მოძრაობის ვეტერანი სპორტის დამსახურებული ოსტატი გ. ნ. მერკვილაძე, ახალქალაქის რაიონის პარტიის ვეტერანთა საბჭოს თავმჯდომარე, საქართველოს სსრ დამსახურებული მასწავლებელი ა. გ. გულანიანი, მოკადრაკე გოგონათა შორის მსოფლიო ჩემპიონატის პრიზიორი გარდაბნის რაიონის ლიოლოს საშუალო სკოლის მეცხრე კლასის მოსწავლე, საქართველოს ალკ XXXIII ყრილობის დელეგატი ქ. გ. კახიანი, ომისა და შრომის ვეტერანი, მარნეულის რაიონის აღამამედლის საბჭოთა მეურნეობის პროფკომის თავმჯდომარე ა. ნ. ბაგიროვი, წითელწყაროს რაიონის სოფელ ზემო ქედის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის გმგეობის თავმჯდომარე სოციალისტური შრომის გმირი ა. ა. კობაიძე.

შეხვედრაზე გამოვიდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ჯ. ი. პატიაშვილი.

ჩვენს პარტიას, სახელმწიფოს თავიანთ განვითარებაში უაღრესად მნიშვნელოვანი პერიოდი დაუდგამთ, ხაზგასმით აღინიშნა შეხვედრაზე. დასახული მიზნების რეალიზაციას ისტორიული შედეგები ექნება ქვეყნისათვის, მსოფლიოში მისი როლისათვის. როგორც ყოველთვის, მკვეთრ მოსახვევებში, როცა საჭიროა არაორდინალური, გაბედული გადაწყვეტები, ყოველივე დრომოჭმულის მსხვრევა, რაც ხელს გვიშლის წინსვლაში, პარტია იყენებს უფროს თაობათა ფასდაუდებელ გამოცდილებას, ეყრდნობა ჩვენი ახალგაზრდობის ამოუწურავ ენერგიას.

მთლიანად არცთუ ცუდი მაჩვენებლებით ამთავრებს მიმდინარე წელს ჩვენი რესპუბლიკის სახალხო მეურნეობაც. არ ნელდება სამრეწველო წარმოების ზრდის ტემპი, გარკვეული ძვრებია აგროსამრეწველო კომპლექსში, მშენებლობაში და ტრანსპორტზე. იგრძნობა აღმავლობა კულტურულ ცხოვრებაში და ამ გარდაქმნებში დიდია ჩვენი ვეტერანებისა და ახალგაზრდობის დამსახურება.

ბევრი საჭირბოროტო საკითხის გადაწყვეტაში დიდ დახმარებას გვიწევს, მაგალითად, პარტიის ვეტერანთა რესპუბლიკური საბჭო. ბევრი პარტიული კომიტეტი წარმატებით და აქტიურად იყენებს უფროსი ამხანაგების გამოცდილებასა და ცოდნას საქმიანობის სტილის სრულყოფაში, მუშაობს მათთან მჭიდრო კონტაქტით.

ამავე დროს, გარდაქმნა ხანგრძლივი და ზოგჯერ მტკივნეული პროცესია. იგი ვერ ჩაივლის უბრძოლველად და სიძნელეების. სტერეოტიპების დაფძლევლად არიან ისეთი მუშაკები და ხელმძღვანელები, რომლებსაც ხელს არ აძლევთ მზარდი მომთხოვნელობა, წესრიგი, საჭაროობა, არ ჩქარობენ დათმონ დაუმსახურებელი პრივილეგიები და სიკეთე, რომლებიც ჩვენს საზოგადოებას გამოჰკლიჯა. ამიტომ დღეს განსაკუთრებით გვჭირდება ბოლშევიკური თანამმდევრულობა და პრინციპულობა მოქმედების დროს.

ვეტერანებს ჩვენს საზოგადოებაში პატივისცემა და ავტორიტეტი აქვთ მოზეიმული. ამის კიდევ ერთი გამოვლინება გახდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში გამართული შეხვედრის წინ თბილისის პერსონალურ პენსიონერთა პანსიონატში სტუმრობა. აქ ჯარგალარის მოგვარებული სამედიცინო და საყოფაცხოვრებო მომსახურება. დაწესებულებების მუშაკები მუდამ ყურადღებით იკიდებიან პანსიონატის მცხოვრებთა საჭიროებებს.

ბოლო ხანს მიღებულია ვეტერანებისათვის მატერიალურ-საყოფაცხოვრებო პირობებისა და სამედიცინო მომსახურების გაუმჯობესების, შეღავათების გაფართოების დიდმნიშვნელოვანი გადაწყვეტილებანი, მატულობს პენსიების მინიმალური ოდენობა, დაწესებულია მათი გადიდებული დანამატები. ახლა მზადდება ახალი კანონი შრომელთა სპეციალიზაციის ეროვნულ-ეკონომიკურ პროგრამაზე. ეს ასევე უკრაინაშიც.

ბევრია ბიზნესი, ხაზგასმით აღინიშნა შეხვედრაზე. მტკიცედ გარდაქმნება სამეურნეო მექანიზმი, საწარმო გადადის სრულ სამეურნეო ანგარიშზე, თვითდაფინანსებაზე. დასახულია პროდუქციის ხარისხის ძირეული გაუმჯობესების ღონისძიებანი. მაგალითად, 1987 წლის 1 იანვრიდან რესპუბლიკის 22 საწარმოსა და გაერთიანებაში შემოღებული იქნება პროდუქციის სახელმწიფო მიღება. სამეურნეო ანგარიშთან ერთად მან ლაზარი უნდა ჩასცეს წუნისმკეთებლებს, ზარმაცებს, გამოიწვიოს წარმოების კულტურის საერთო ამაღლება. მაგრამ ბოლომდე თანამმდევრულება უნდა ვიყოთ, ამ საქმეში თავიდან ავიცილოთ ქამპანიურობა და ფორმალიზმი. მკვეთრად გაზრდილი მომთხოვნელობის პირობებშიც კი არ უნდა შეეანელოთ. პირიქით, უნდა დავაჩქაროთ პროდუქციის გამოშვების ზრდის ტემპი.

შეხვედრის მონაწილეებმა გამოთქვეს ჩვენი ახალგაზრდობის პოლიტიკური და ცხოვრებისეული აქტიურობის ორმა რწმენა. მაგრამ მან კიდევ ბევრი რამ უნდა ისწავლოს და, რაც მთავარია, დაეუფლოს ეკონომიკისა და მართვის პრობლემებს. სახალხო მეურნეობაში ხომ ლამის ყოველ დღე შეუქცევადი ცვლილებები ხდება, რომლებიც სულ უფრო ფართო მასშტაბს იძენს. საჭირო ცოდნისა და ჩვევების გარეშე დღეს იოლად ვერ გავალთ.

რესპუბლიკაში ბევრია მოზარდი თაობისათვის ვეტერანთა მამობრივი ზრუნვის მაგალითები. ეს არის ინდივიდუალური შეფობა ქალაქ თბილისის ოქტომბრის რაიონისა და 26 კომისრის რაიონის ებაში მათი მონაწილეობის უკეთ სტიმულირებას.

მეორე მხრივ, ხორციელდება ღონისძიებანი, რათა ვეტერანები გაერთიანონ ქმედით საზოგადოებრივ ძალად, გააძლიერონ მათი გავლენა ყველა საზოგადოებრივ-ეკონომიკურ პროცესზე. ასეთი დამოკიდებულების ყველაზე მკაფიო დადასტურება გახდა ომისა და შრომის ვეტერანთა საკავშირო ორგანიზაციის შექმნა, რომელიც სოციალისტური სახალხო ხელისუფლების შემადგენელი ნაწილი უნდა გახდეს. მაგარი ორგანიზაციები იქმნება ყველა მოკავშირე რესპუბლიკაშიც.

სქემე ძალზე ბევრია, ხაზგასმით აღინიშნა შეხვედრაზე. მტკიცედ გარდაქმნება სამეურნეო მექანიზმი, საწარმო გადადის სრულ სამეურნეო ანგარიშზე, თვითდაფინანსებაზე. დასახულია პროდუქციის ხარისხის ძირეული გაუმჯობესების ღონისძიებანი. მაგალითად, 1987 წლის 1 იანვრიდან რესპუბლიკის 22 საწარმოსა და გაერთიანებაში შემოღებული იქნება პროდუქციის სახელმწიფო მიღება. სამეურნეო ანგარიშთან ერთად მან ლაზარი უნდა ჩასცეს წუნისმკეთებლებს, ზარმაცებს, გამოიწვიოს წარმოების კულტურის საერთო ამაღლება. მაგრამ ბოლომდე თანამმდევრულება უნდა ვიყოთ, ამ საქმეში თავიდან ავიცილოთ ქამპანიურობა და ფორმალიზმი. მკვეთრად გაზრდილი მომთხოვნელობის პირობებშიც კი არ უნდა შეეანელოთ. პირიქით, უნდა დავაჩქაროთ პროდუქციის გამოშვების ზრდის ტემპი.

შეხვედრის მონაწილეებმა გამოთქვეს ჩვენი ახალგაზრდობის პოლიტიკური და ცხოვრებისეული აქტიურობის ორმა რწმენა. მაგრამ მან კიდევ ბევრი რამ უნდა ისწავლოს და, რაც მთავარია, დაეუფლოს ეკონომიკისა და მართვის პრობლემებს. სახალხო მეურნეობაში ხომ ლამის ყოველ დღე შეუქცევადი ცვლილებები ხდება, რომლებიც სულ უფრო ფართო მასშტაბს იძენს. საჭირო ცოდნისა და ჩვევების გარეშე დღეს იოლად ვერ გავალთ.

რესპუბლიკაში ბევრია მოზარდი თაობისათვის ვეტერანთა მამობრივი ზრუნვის მაგალითები. ეს არის ინდივიდუალური შეფობა ქალაქ თბილისის ოქტომბრის რაიონისა და 26 კომისრის რაიონის ჯერ კიდევ ბევრი გამოუყენებელი შესაძლებლობაა. უხარმაზარი რეზერვები იკარგება, მაგალითად იმის გამო, რომ ჯეროვნად არ აფასებენ ახალგაზრდა მეცნიერთა და სპეციალისტთა შესაძლებლობებს. რამდენი საყურადღებო წინადადება, სამეცნიერო ნამუშევარი იფერფლება ფორმალურ-ბიუროკრატიულ დაბრკოლებებთან შეჯახებაში. თუ მხარში არ გვიდგანან თანამოაზრენი უფროსი თაობის სახით, ბევრი წამოწყება იშლება ხოლმე.

პარტიის, კომკავშირის, ომისა და შრომის ვეტერანები ჩვენი ოქროს ფონდია, ეს არიან ადამიანები, რომელთა საქმეებსა და წარმატებებს მუდამ მხარს უსწორებენ, რომელთა მიხედვითაც ვამოწმებთ ჩვენს საქციელსა და მოქმედებას. ისინი განასახიერებენ ჩვენი პარტიის. ჩვენი ხალხის ღირსებასა და სინდისს.

მომავალი წელი არანაკლებ ღირსშესანიშნავი და მრავალფეროვანი იქნება მომდინარესთან შედარებით. ეს არის საბჭოთა ხელისუფლების 70 წლისთავის — დიდი ოქტომბრის 70 წლისთავის წელი, რომლისკენაც მუდამ ჯრის მიპყრობილი ჩვენი ფიქრები და გრძნობები. 1987 წელს გაიმართება კომკავშირის მორიგი ყრილობა, მიიღებენ სრულიად საკავშირო ლაკვრის ახალ წესდებას. ამ მოვლენებს შორის წლები და თაობებია. მაგრამ ამ მოვლენებს საერთო პოლიტიკური და ზნეობრივი ფესვებიც აქვთ, და ამიტომ ისინი ერთმანეთის გვერდით არიან ისტორიის კალენდარში. ისევე როგორც ერთმანეთის გვერდით არიან ყველა საქმესა და მიღწევაში ჩვენი ვეტერანები და ახალგაზრდობა.

შეხვედრაზე მონაწილეობდნენ ამხანაგები ვ. ი. ალავიძე, გ. ჯ. ანჩაბაძე, პ. გ. გილაშვილი, გ. ნ. ენუქიძე, ო. გ. ვარძელაშვილი, გ. ა. ინაური, კ. ა. კოჩეტოვი, გ. ა. მეტონიძე, ბ. ვ. ნიკოლაკი, ო. ე. ჩერქეზიანი, გ. გ. გუმბარიძე, ჯ. ვ. მარგველიძე, თ. ი. მოსაშვილი და ნ. რ. სიჯაია.

რესპუბლიკის პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელებმა მიულოცეს პარტიის, კომკავშირის ომისა და შრომის ვეტერანებს, ახალგაზრდობის წარმომადგენლებს მომავალი ახალი წელი, უსურვეს ახალი დიდი წარმატებები საბჭოთა ხალხის შესანიშნავი რევოლუციური საბრძოლო და შრომითი ტრადიციების სადიდებლად. მთელი ჩვენი სოციალისტური სამშობლოს საკეთილდღეოდ.

(საქინფორმი).

ეს ხალხი მხოლოდ სიმღერის სიყვარულმა როდი გააერთიანა. მათ სხვა, უფრო დიდი საერთო სიყვარული აქვთ. ზოგ მათგანს ერთად გაუვლია სამხედროო გზა, ზოგნიც სხვადასხვა ფრონტზე იბრძოდნენ. საერთო კი ერთია — იმ მძიმე დღეების გულისმომკვლელი მოგონებები, საკუთარი მხრებით ნაზიდი ჭირვარამი, და განცდილი.

ანსამბლში ყოფილი არტილერისტები, ტანკისტები, მფრინავები, მზვერავები, სამხედრო ექიმები და პოლიტმუშაკები გაერთიანდნენ, მაგრამ ანსამბლის დამაფიქრებას წინ უსწრებდა სამამულო ომის ვეტერანთა კლუბის „კავკასიონის“ დაარსება.

ყველაფერი ლოგიკურად აეწყო: ომის დამთავრებიდან სამი

მღერიან ომის ვეტერანები

ათეული წლის შემდეგ ფრონტელი მეგობრები, როგორც არაერთხელ მანამდე, კვლავ შეხვდნენ ერთმანეთს. თითქოს ყველამ იგრძნო, რომ ეს იშვიათი შეხვედრები არ აკმაყოფილებდათ, ერთად ყოფნის სურვილი უფრო ძლიერი აღმოჩნდა, საჭირო იყო შეხვედრებისათვის მუდმივი ადგილის გამოძებნაც.

სურვილი ცოტას რომ არ ნიშნავს, ერთხელ კიდევ დარწმუნდნენ მაშინ ვეტერანები. ერთი სიტყვით, პროფსაბჭოს კულტურის სასახლესთან ჩამოყალიბდა დიდი სამამულო ომის ვეტერანთა კლუბი „კავკასიონი“ (პირველი საქართველოში), რომლის თავმჯდომარედ გადამდგარი უფროსი ლეიტენანტი მიხეილ დავითის ძე მთვარალაშვილი აირჩიეს.

მალე მის მონაწილეებს კიდევ ერთი საერთო გატაცება აღმოჩნდათ — მუსიკა, სიმღერა. და იმავ კიდევ ერთი იდეა — შექმნილიყო ომის ვეტერანთა ანსამბლი...

ვინც ამ ორიოდე დღის წინათ ოპერის თეატრიდან ომისა და შრომის ვეტერანებთან შეხვედრისადმი მიძღვნილი კონცერტის ტრანსლაციას უყურებდა, ეთუოდ დაახსოვდებოდა ანსამბლ „კავკასიონის“ გამოსვლა. დიახ, ანსამბლსაც კლუბის სახელი უწოდეს. ამ ათი წლის მანძილზე დაიხვეწა მათი საშემსრულებლო ოსტატობა. ანსამბლის სამხატვრო ხელმძღვანელი გივი ცომაია და ლოტბარი, სამამულო ომის ვეტერანი, რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი აკაკი გოჩალეიშვილი ენერგიას არ იშურებენ ანსამბლის ხელწერის სრულყოფისთვის, თანაც ვეტერანები მხოლოდ ომის თემებზე შექმნილ ნაწარმოებებს როდი მღერიან, მათს რეპერტუარშია ქართული ხალხური და თანამედროვე სიმღერები. 10 წლის საიუბილეოდ ერთი შემოქმედებითი სიხარული კიდევ განიცადეს მომღერლებმა — გრამფირფიტების საკავშირო ფირმამ „მელოდიამ“ გამოსცა ფირფიტა — „ყირიმი-სტალინგრადი-ბალტიისა ი რ ე თ ი“ ფირფიტის ერთ მხარეზე მთლიანად ანსამბლის სიმღერებია ჩაწერილი...

მღერიან ვეტერანები, მღერიან ომის ძნელ გზებზე, მშვიდობიან ცაზე, მის ფასზე, სიყვარულზე. დიახ, სიყვარულზე — მან ხომ ასაკი არ იცის. მოგზაურობენ წარმოება - დაწესებულებებ შ ი, სკოლებში, ინსტიტუტებში, სამხედრო ნაწილებში, რესპუბლიკის სხვადასხვა რაიონში თუ მის გარეთ, მღერიან, გამოდიან მოგონებებით, საუბრებით და უფრო და უფრო ძლიერდება ეს საერთო სიყვარულიც...

გ. ხარებაშვილი.

● ●

სურათზე: ანსამბლ „კავკასიონის“ რეპეტიცია.

ჯ. ლომაძის ფოტო.

ᲒᲐᲜᲘᲮᲘᲚᲐᲕᲔᲜ ᲤᲘᲖᲘᲙᲘᲡ ᲡᲐᲙᲘᲗᲮᲔᲑᲡ

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში მუშაობა დაამთავრა რესპუბლიკურმა სამეცნიერო კონფერენციამ, რომელიც მიეძღვნა საქართველოში თეორიული ფიზიკის ერთ-ერთი ფუძემდებელს, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსის მათე მიხეილის ძე მირიანაშვილის ხსოვნას.

— გრავიტაციის თეორიაში, ველის კვანტურ თეორიაში თვალსაჩინო ქართველი მეცნიერის შრომები კარგად არის ცნობილი არა მარტო საბჭოთა კავშირში, არამედ საზღვარგარეთაც,

მრავალი წელის განმავლობაში მ. მირიანაშვილი იყო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კათედრის გამგე, ფიზიკის ფაკულტეტის დეკანი, შემდეგ კი უნივერსიტეტის პროორექტორი.

ოთხი დღის განმავლობაში კონფერენციაზე განიხილავდნენ თანამედროვე ფიზიკის მეცნიერების აქტუალურ მიმართულებებს. სპეციალისტთა გამოსვლები ეხებოდა ფარდობითობისა და გრავიტაციის თეორიებს, მყარი სხეულის ფიზიკას, კოსმოსური სხივებისა და დაბალი ტემპერატურების ფიზიკასა და სხვა საკითხებს. გარდა ამისა, კონფერენციის მონაწილეებმა მოისმინეს მოხსენებანი, რომლებიც ეხებოდა ფიზიკაში მეთოდიკური მუშაობას, სასწავლო პროცესში მიკროპროცესორული ტექნიკის გამოყენებას, სკოლის რეფორმის განხორციელების პირობებში ფიზიკის მასწავლებელთა პროფესიულ მომზადებას.

თბილისის ტელევიზორების ქარხანა „ეკრანმა“ პირველი პროდუქცია 1982 წელს გამოუშვა, 1983 წლიდან კი სერიულად დაიწყო ტელევიზორების წარმოება. მაშინ „ევრეკა“ ძალიან მოხწონდათ მომხმარებლებს, მაგრამ ეს იყო მისი წარმოებისა და გაყიდვის პირველ წელს. მას შემდეგ მდგომარეობა შეიცვალა. მომხმარებელი ხშირად აჭკობინებს იყიდოს „მორიზონტი“, „რუბინი“, „ელექტრონი“, „ევრეკა“ კი გვერდს უვლის. ამის მიზეზი, რასაკვირველია, ის გახლავთ, რომ, თუმცა ამ მარკის ტელევიზორი გარეგნულად შვენიერია, იგი თავისი ხარისხით ვერ უპასუხებს სადღეისო მოთხოვნებს. ქარხანაში იმედოვნებენ, რომ ახალი წლიდან მდგომარეობა უეჭველად გაუმჯობესდება. ეს აუცილებელიც არის, რადგან „ეკრანი“ 1 იანვრიდან პროდუქციის ასპროცენტიან სახელმწიფო მიღებაზე გადადის. ამასთან დაკავშირებით ჩვენი კორესპონდენტი ნ. ლურსმანაშვილი ესაუბრა ქარხნის დირექტორს ნ. ᲯᲐᲘᲐᲜᲡ.

ᲡᲐᲛᲘ ᲨᲔᲙᲘᲗᲮᲕᲐ ᲞᲠᲝᲓᲣᲥᲪᲘᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲛᲘᲦᲔᲑᲐᲖᲔ ᲒᲐᲓᲐᲛᲬᲚᲔᲚᲘ ᲡᲐᲬᲐᲠᲛᲝᲡ ᲮᲔᲚᲛᲫᲦᲕᲐᲜᲔᲚᲡ

— როგორ მოეგზავნა თქვენი საწარმოო პროდუქციის ასპროცენტიან სახელმწიფო მიღებაზე გადასასვლელად? რა ტექნიკურ-ეკონომიკური და ორგანიზაციული ღონისძიებები განახორციელა ქარხნის ადმინისტრაციამ საამისოდ?

— ჩვენ უკვე მზად ვართ პროდუქციის ასპროცენტიან სახელმწიფო მიღებაზე გადასასვლელად, საამისოდ დიდი ხანია ვმუშაობთ და დეკემბრის თვეც ერთგვარი გენერალური რეპეტიცია იყო — თვის ბოლომდე არასაუწყებო კონტროლს უკვე პროდუქციის 70 პროცენტს წარუდგენთ. რაც შეება საკონსტრუ ქ ტ ო რ ო. ტექნოლოგიურ და ნორმატიულ დოკუმენტაციას — საკონტროლო ნახაზებს, ტექნიკური დონისა და ტექნოლოგიურ რუქებს, ტექნიკურ აღწერილობას — ისინი უკვე

ხელახლა გადამუშავდა, მთლიანად გადაისინჯა. მოვახდინეთ სამუშაო ადგილების ატესტაცია, დანადგარებისა და ტექნიკური აღჭურვილობის შემოწმება. გადაწყდა ორგანიზაციული საკითხებიც — შევქმენით სახელმწიფო მიმღები ჯგუფი 10 კაცის შემადგენლობით. ამ საკითხმა ერთგვაროვად შეგეფერება, რადგანაც ყოველნაირად ვცდილობდით უმკაცრესი მოთხოვნების გათვალისწინებით შეგვერჩია კადრები. სახელმწიფო სტანდარტიც კარგა ხანს არჩევდა სახელმწიფო მიღების სამსახურის ხელმძღვანელის კანდიდატურას. 15 დეკემბრისთვის ეს საკითხიც მოგვაგვარეთ. შეიქმნა შტატი — დირექტორის მოადგილე ხარისხის დარგში. ნაწარმის სახელმწიფო მიღების საკითხებს სისტემატურად განვიხილავდით პარტიული კომიტეტის სხდომებსა და პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრებებზე. საამქროებში სისტემატურად ვმართავდით თათბირებს, გამოვიმუშავეთ მართვის სტრუქტურა. გარდა ამისა, დეკემბრის დასაწყისში მოვიწვიეთ 8 სპეციალისტი მოსკოვის „რუბინის“ საწარმოო გაერთიანებიდან. ისინი საგრძნობლად დაგვეხმარნენ დოკუმენტაციების გადამუშავებაში, სამუშაო ადგილების ატესტაციისა და ორგანიზაციული საკითხების გადაწყვეტაში. მათთან ერთად შევიმუშავეთ იმ სამი სახეობის პროდუქციის ეტალონური ნიმუშები, რომლებსაც 1 იანვრიდან სახელმწიფო მიღებაზე წარვადგენთ. უკვე მოქმედებს წახალისებისა და დასჯის სპეციალური ტარიფებიც.

— რა წინაპირობებზე დაძლევა მოგიხდათ მზადების პერიოდში? რა ნაკლოვანებები გაქვთ და კონკრეტულად როგორ აპირებთ მათს აღმოფხვრას?

— ერთი სიძნელე უკვე აღვნიშნეთ — გვიან შეიქმნა სახელმწიფო მიმღები ორგანო და ამან გარკვეულწილად შეაფერხა ჩვენი მზადება. მეორე, ჩვენი საწარმო მშენებარეა; პროდუქციას რომ ვუშვებთ, პარალელურად ახალ სიძლავრეებსაც ავამოქმედებთ. ამიტომაც ქარხანაში ყოველი დღე უაღრესად დაძაბულია.

გარდა ამისა, „ეკრანი“ (თუ შეიძლება ასე ითქვას,) ჯაჭვის უკანასკნელი რგოლია. ქვეყნის ასზე მეტი ქალაქიდან გვიზავნება აქ კინოსკოპები, ბლოკები, ფირფიტები, ტრანზისტორები. გასაგებია, რომ, თუ ჩვენ უხარისხო კომპლექტებს მივიღებთ, ხარისხიან ტელევიზორს ვერ ავაწყობთ. პრეტენზიები ამ მხრივ ძირითადად საკავშირო ელექტროტექნიკური მრეწველობის სამინისტროს ეკორეიესა და სარანსკის ქარხნებისადმი გვაქვს.

ტელევიზორების ტიპურ და პერიოდულ გამოცდას ჩვენ ადგილზე ვერ ვაწყობთ, რადგან არა გვაქვს გამოსაცდელი მოწყობილობა. გამოცდას ვაწარმოებთ მონათესავე ქარხნებში, თუმცა აუცილებელი გამოსაცდელი მოწყობილობა 1987 წლისთვის უკვე შევუკვეთეთ. საჭიროა შეიცვალოს აგრეთვე ძველი საზომი მოწყობილობებიც.

— როგორ გეხებათ ქარხნის მომავალი პროდუქციის 100-პროცენტიან სახელმწიფო მიღებაზე გადასვლასთან დაკავშირებით?

— ეს სიახლე ხარისხის სრულიად სხვაგვარად, ახლებურად მართვას გულისხმობს. დაჩქარება, როგორც სკკ ცენტრალური კომიტეტის თათბირზე აღინიშნა, მხოლოდ მაღალი ხარისხის, საუკეთესო პროდუქციის წარმოებით უნდა მოხდეს. ამიტომაც განსაკუთრებულ ყურადღებას ვაქცევთ იმას, რომ ამავეუშუალო სადღეისო მოთხოვნების შესაბამისი ხარისხიანი ნაწარმი. შევქმენით ჩვენივე დიზაინი — ახალი პერსპექტიული ტელევიზორი (მეოთხე თაობისა), რომელიც საიმედო ცვლა იქნება. იგი უფრო მსუბუქია, ნაკლებ ენერგიას ხარჯავს, გამოსახულებაც უკეთესი აქვს („ევრეკა“ ცვ-281-დ). განზრახული გვაქვს აგრეთვე გავახანგრძლივოთ ტელევიზორის ექსპლოატაციის საგარანტიო ვადა. უეჭველია, იდეალურ პირობებში (თუ მომწოდებლები არ დაგვალალტებენ), ჩვენ შეგძლებთ დავუბრუნოთ ქარხანა „ეკრანს“ პრეტენზიე და აღარც „ევრეკას“ აუცილს გვერდს მომხმარებელი.

● ● ●

სურათზე: ტელევიზორების ქარხანა „ეკრანის“ № 1 ხაამქროს მოწინავე ამწყობები, რომლებიც მიმდინარე წლის 7 ნოემბრიდან 1987 წლის ანგარიშში შრომობენ.

ჯ. ლომაძის ფოტო.

როგორ მოვიხმაროთ თადარიგიანად უდიდესი სახსრები, რომლებსაც სახელმწიფო გამოყოფს და რომლებიც პროფკავშირთა განკარგულება შ ი ა სკკ XXVII ყრილობაზე დასახული სოციალური პროგრამის განსახორციელებლად, — ამის შესახებ გაიმართა სკკ-ბაასი 29 დეკემბერს საკავშირო პროფსაბჭოს ალეენუმზე. განხილეს სსრ კავშირის პროფესიული კავშირების 1987 წლის ბიუჯეტი და სახელმწიფო სოციალური დაზღვევის 1987 წლის ბიუჯეტი, რომელსაც პროფკავშირები განაგებენ.

მომხსენებელმა და გამოსულმა ამხანაგებმა აღნიშნეს, რომ პროფკავშირებისათვის სოციალური საკითხები და მშრომელთა ინტერესები მუდამ უნდა იდგეს წინა პლანზე, ამასთან მჭიდროდ დაუკავშირეს ისინი ქვეყნის პროფკავშირულ ორგანიზაციებში ამჟამად მიმდინარე გარდაქმნის ამოცანებს.

პროფკავშირთა 1987 წლის ბიუჯეტი უზრუნველყოფს იმ ამოცანებიდან გამომდინარე ღონისძიებების დაფინანსებას, რომლებიც პროფკავშირებს დაუსახეს სკკ XXVII ყრილობამ, პარტიის ცენტრალური კომიტეტის მომდევნო პლენუმებმა. ამასთან, სახსრების უდიდესი ნაწილი, 84,3 პროცენტი ხმარდება მშრომელთა და მათი ოჯახის წევრთა კულტურულ-საყოფაცხოვრებო მომსახურებას.

პლენუმზე განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო პროფკავშირთა კულტურულ-აღმზრდელობითი საქმიანობის ძირეულ გარდაქმნას, ადამიანთა თავისუფალი დროის ორგანიზაციის ეფექტიანი ფორმების დანერგვას. მიმდინარე ხუთწლედში უნდა დავძლიოთ წინათ დაშვებული ჩამორჩენა და ყველგან შევქმნათ დასვენების განვითარებული სფერო, უწინარესად დაჩქარებული ეკონომიკური განვითარების რაიონებში და სოფლად.

პარტიისა და სახელმწიფოს ზრუნვა ხალხის კეთილდღეობისათვის, ხაზგასმით აღინიშნა გამოსვლებში, მკაფიოდ გამოვლინდა 1987 წლის სახელმწიფო ბიუჯეტში, რომელიც სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მეექვსე სესიამ მიიღო. იგი 55,1 მილიარდ მანეთს შეადგენს და წლევანდელ ბიუჯეტს 2,6 მილიარდი მანეთით გადააჭარბებს. გათვალისწინებულია პენსიების საშუალო ოდენობისა და ცალკეულ სახეობათა დახმარების შემდგომი ზრდა, მნიშვნელოვანი სახსრების გამოყოფა მშრომელთა და მათი ოჯახის წევრთა ჯანმრთელობის დაცვის, ავადმყოფობის, ტანმამედრეკილ მოსფლიოსათვის ეგზომ ნიშანდობლივ ტოტალურ ავტომატიზაციასა და ქიმიზაციას, ბევრ სიკეთესთან ერთად, სამწუხაროდ, ზიანიც მოაქვს.

ასეთია დღესდღეობით სპეციალისტთა დასკვნები და პროგნოზები. ცხადია, ისინი თვითდამშვიდებას საშუალებას არ გვაძლევენ, მაგრამ არც საპანიკოდ უნდა განგვაწყონ. საგანგებო პროგრამის მიხედვით მეცნიერებაა მოსახლეობის პროფილაქტიკური შემოწმება, ხოლო, თუ საჭირო გახდა, დაწვრილებითი გამოკვლევა. კიევში შეიქმნა სამედიცინო რადიოლოგიის საკავშირო-სამეცნიერო ცენტრი, რომელმაც გააერთიანა კლინიკური რადიოლოგიის, ექსპერიმენტული რადიოლოგიის, ეპიდემიოლოგიისა და სხვაურ დარგებთა პროფილაქტიკის ინსტიტუტები. ცენტრს სათავეში უდგას რუსეთ-ბლიკის ჯანმრთელობის დაცვის მინისტრი ანატოლი რომანენკო. სახელმწიფო ყოველ ღონეს ხმარობს, რათა კვლავ გაცოცხლდეს ჩერნობილის შემოგარენი, ხოლო იქაურ მკვიდრთ ცხოვრებისა და მუშაობის ნორმალური პირობები ჰქონდეთ. რესპუბლიკის ხელმძღვანელობის გადაწყვეტილებით, მომავალი წლის დამაკიდებული იმაზე, თუ რამდენად აქტიურად ჩაებმებიან მუშაობაში პირველადი პროფორგანიზაციები, დაზღვევის აქტივი, მშრომელთა ფართო მასები. ამიტომ განსაკუთრებული აქტუალობა ეენიჭება შრომითს კოლექტივებში ამ მიზნით გამოყოფილი სოციალური დაზღვევის სახსრების ხარჯვის ფართო საჯაროობას, ავადობის შემცირებას, მშრომელთა გაჯანსაღებას, მათი შრომისა და ყოფა-ცხოვრების პირობების გაუმჯობესებას, იმას, რომ მთელი ამ ამოცანების განხორციელება გათვალისწინებული იყოს კოლექტიური ხელშეკრულებებით.

პლენუმმა განიხილა პროფკავშირების ანგარიშგება-არჩევნების კამპანიის მიმდინარეობა და ამოცანები, რომლებიც ამასთან დაკავშირებით დგას პროფკავშირთა საბჭოებისა და კომიტეტების წინაშე. საერთოდ ანგარიშგება-არჩევნები მიმდინარეობს მაღალ ორგანიზაციულ და პოლიტიკურ დონეზე, პროფკავშირის წევრთა გაზრდილი აქტიურობის პირობებში. მარტო პირველადს პროფკავშირულ ორგანიზაციებში გამართულ კრებებსა და კონფერენციებზე გამოვიდა 24 მილიონზე მეტი კაცი.

(საკდესი).

ᲩᲔᲠᲜᲝᲑᲘᲚᲘ ᲐᲮᲐᲚᲬᲚᲘᲡ ᲬᲘᲜ

ᲐᲮᲚᲐ, როცა ძველი, „ვეფხვის წელიწადი“ იწურება, შეიძლება ვალიაროთ, რომ ამ ნერხნობილის ნიშნით, უბედურებისადმი ჩვენი ხალხის, არმიისა და მეცნიერების მძლავრი წინააღმდეგობის ნიშნით, ჩაიარა. მკითხველს, ზოგადად, ბევრი რამ მოეხსენება ჩერნობილზე, ამიტომ მხოლოდ იმ კოჭკრეტულ ვითარებას შეეხები, რომელიც სადღეისოდ სუფევს როგორც თვით ატომურ სადგურში, ასევე უკრაინაშიც.

დავიწყებ უმთავრესით — საკრფოგეთი. ჩვენგან ათეული ეს ცნება XX საუკუნის პირმშოსთან — ატომურ სადგურთან — ისტორიულმა პარადოქსმა დააკავშირა და სულ სხვა დატვირთვა მიანიჭა მას. თვით იმათთვისაც, ვისაც ეგვიპტის პირამიდები არქეოლოგიური მისიით მოუნახულებია, სფინქსის გამოცანად იქცა ეს „ავანგარდისტული“ ნაგებობა, ძალადმოდერნი, რომლის აუცილებლობა უკიდურესად კრიზისულმა სიტუაციამ წარმოშვა. ჰყვებოდნენ, დაზიანებულ ბლოკს გარშემო კედლები უნდა შემოეშენონ და ზემოთ მუზარადივით ჩამოსხმული ხუფი ჩამოაცვან რათა რადიოაქტიური ამოფრქვევის საფრთხე კვლავ არ შეგვექმნას. საკოფაგი რაღაც სასილოსე კოშკის მაგვარ გიგანტურ ნაგებობად წარმოგვედგინა, რომელიც ერთი ხელის დაკვრით გადაწყვეტდა უმთავრეს პრობლემას— მოსპობდა, მოაშთობდა, დასამარებდა რადიაციის საშიშ კერას!

სინამდვილე ცოტა სხვაგვარი გამოდგა, არ დაემთხვა წარმოსახულს. ნაავარიე რეაქტორს სამი კედელი შეუნარჩუნდა, მხოლოდ მეოთხე, დაზიანებული მხრიდან აღიმართა რკინაბეტონის მონოლითური კასკადი, რომლის პირველი სიფეხური სამოკიდაანი მეტრი სისქისა და თორმეტი მეტრი სიმაღლის კედელია. სულ ხუთი საფეხურისგან შედგება და ორმოცდაცამეტი მეტრი სიმაღლისაა იგი. ბლოკს ჩამოაკვეს საყრდენი კონ

ინფორმაციები
ფაქტები • მოვლენები



მიეძღვნა აკაკი შანიძეს

ჩვენი სასიქადულო თანამემამულის აკაკი შანიძის საენათმეცნიერო და საზოგადოებრივ მოღვაწეობას დიდი გულისყურით ადევნებენ თვალს საზღვარგარეთელი მეცნიერები. მის სამუშაო მაგიდაზე ძველ ლონდონიდან მიღებული ქართულ ენაზე დაწერილი ბარათი, რომლის ავტორია ინგლისელი ქართველოლოგი პროფესორი ჯორჯ ჰიუიტი, იგი მშვენიერი ქართულით სწერს ბატონ აკაკის და ეკითხება: ხომ მოგეწონათ ჩიკაგოში დაბეჭდილი ალმანახი, რომელიც მთლიანად თქვენ მოგეძღვნათო. როდესაც ბატონმა აკაკიმ ეს წერილი ჩაიკითხა, ჩაიცინა, ინგლისელი მეგობრისაგან კი მივიღე წერილი, მაგრამ ჩიკაგოდან ალმანახი ჯერ არ მიმიღიაო.

გავიდა ხანი და დიდმა მეცნიერმა ჩიკაგოდანაც მიიღო მასაღმი მიძღვნილი სქელტანიანი ალმანახი ქართული სათაურით: „აკაკი შანიძეს“. ქვემოთ კი ინგლისურ ენაზე ვკითხულობთ: „ნაშრომები ქართულ და კავკასიურ ლინგვისტიკაში საჩუქრად აკაკი შანიძეს“. ალმანახი შესრულებულია წიგნის გამოცემისა და არტქვის უმაღლესი ხელოვნებით. ალმანახი იხსნება ქართველოლოგი პროფესორის ჰიუარდ არონსონის წერილით, მასში მოკლედ დახასიათებულია აკაკი შანიძის საენათმეცნიერო და საზოგადოებრივი მოღვაწეობა. ამ საინტერესო წერილს ჩვენ ქართული თარგმანით მთლიანად მოვიყვანთ.

„თუ კავკასია ენათა მთა არის, მაშინ საქართველო „ლინგვისტთა ერი“ უნდა იყოს. იშვიათია, რომ მეორე ასეთივე მცირე ერმა ამდენი შესანიშნავი ლინგვისტი მოგვცეს. მათ შორის აკაკი შანიძის სახელი პირველ ადგილზე უნდა დავაყენოთ. არავის გაუკვირდა იმდენი ქართული გრამატიკის სირთულეთა სისტემატიზაციისათვის როგორც სინქრონულად, ისე დიაქრონულად; იგი მართლაც ეროვნული გმირია თავის შშობლიურ საქართველოში და მეცნიერთა შორის ერთ-ერთი ყველაზე უფრო პატივცემული საბჭოთა კავშირში. მაგრამ საჭიროა, რომ ჩრდილოეთ ამერიკისა და დასავლეთ ევროპის ლინგვისტებმაც გამოხატონ თავისი პატივისცემა ამ გოლიათი მეცნიერისადმი.

ჩვენ, დასავლეთის მკვიდრნი, რომლებიც კავკასიის ენათა და კულტურათა მდიდარ მასალაზე ვმუშაობთ, დიდად დავალებული ვართ მისგან და მისი მეცნიერული შრომებისაგან, რომლებმაც ამ სამყაროს კარი გაგვიღეს. მისმა გამოკვლევებმა ამ რთული ენის შესახებ მისაწვდომი გახადა იგი იმათთვის, ვისთვისაც ქართული მშობლიური ენა არ არის. მან წესრიგში მოიყვანა ის, რაც ერთი შეხედვით ქაოსს წარმოადგენდა ქართულ ენაში და გაგვაგებინა ბევრი რამ როგორც ძველი, ისე ახალი, როგორც მეცნიერული, ისე მსატვრული დიდი და მდიდარი ქართული ლიტერატურის შესახებ.

1985 წლის 16-18 მაისს ჩრდილოამერიკელ და დასავლეთ ენათმეცნიერთა და კავკასიის კულტურათა სპეციალისტების ჯგუფი შეიკრიბა ჩიკაგოს უნივერსიტეტში საბჭოთა კავშირის ენებისადმი მიძღვნილ საერთაშორისო კონფერენციაზე, რომლის ქართველური და კავკასიური ენათმეცნიერების სექცია და მეორე კონფერენცია, კავკასიის კულტურათა საკითხების შესახებ მიეძღვნა აკაკი შანიძეს; ამით ჩვენ გამოვხატეთ ჩვენი პატივისცემა მისი განსაკუთრებული მეცნიერული მიღწევებისადმი და იმ დიდი სამსახურისადმი, რომელიც მან გაუწია ქართულ და ქართველურ ენათა შესწავლას. ყველა გამოკვლევა ამ ტომში მათმა ავტორებმა აკაკი შანიძეს მიუძღვნეს. მათი უმეტესობა წაკითხული იყო კონფერენციაზე. ეს ტომი მცირედი გამოხატულებაა ჩვენი გრძნობებისა ბატონ აკაკის მიმართ: პატივისცემისა, მადლობისა, აღტაცებისა და სიყვარულისა. ამ ტომთან ერთად ვუგზავნით მას ჩვენს საუკეთესო სურვილებს“.

ჯ. არონსონი, ჩიკაგო,
20.VI-1986 წ.

აკაკი შანიძისადმი მიძღვნილ ალმანახში მოთავსებულია ამერიკის ცნობილ ქართველოლოგთა გამოკვლევები. პროფესორ ჰიუარდ არონსონის „პარადიგმატიკული და სინტეგმატიკური სუბიექტი ქართულში“, როლანდ ბილმეიერის „ძველი ირანული და ვეფხვნა ძველ ქართულზე“, ვიქტორ ფრილმანის „დამტკიცებითი ზმნის ფორმები ლაკურში“. ფილმანის წერილს ქართულად აწერია აკაკი შანიძისადმი მიძღვნილი შემდეგი სიტყვები: „აკად. აკაკი შანიძეს უღრმესი პატივისცემით, ვიქტორ ფრილმანისაგან“. აქვეა ალისა ჭარისის წერილი „რელატიურ წინადადებათა ისტორიისათვის ქართულში“ წარწერით: „ბატონ აკაკის — თქვენი პატივისმცემელი ალისა ჭარისისაგან, კევინ ტუიტს ეკუთვნის სტატია „სინტაქსის საგანი ქართულში“ და სხვა.

ამერიკის ქართველოლოგების მიერ აკაკი შანიძისადმი ღრმა პატივისცემით და სიყვარულით მიძღვნილი ალმანახი მსოფლიო აღიარება და დაფასებაა აკაკი შანიძის საენათმეცნიერო მოღვაწეობისა. ეს არის აღიარება აგრეთვე მთელი ქართული საენათმეცნიერო სკოლისა, რომელსაც სათავეში უდგას დიდი მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე ბატონი აკაკი შანიძე.

ასე მძლავრია ცოდნა და სიბრძნე.

ალ. სიგუა.

კვლავაც გამარჯვებით გევლოს!

როგორც მკითხველებმა უკვე იციან, ახალგაზრდა ნიჭიერმა მომღერალმა, რესპუბლიკის დამსახურებულმა არტისტმა მაია თომაძემ ახლახან ბარსელონაში გამართულ საერთაშორისო კონკურსზე ბრწყინვალე გამარჯვება — „გრან პრი“ და ოქროს medali მოიპოვა. საოპერო ხელოვნების მოყვარულთ ჯერაც არ განელვნიათ ის სიხარული, მომღერლის ამ გამარჯვებამ რომ მიანიჭა, და აი, შშობლიური საოპერო თეატრის სცენაზე მომღერალი მსმენელთა წინაშე წარდგა სოლო კონცერტით, რომლის პროგრამა მთლიანად მოიცავდა კონკურსზე შესრულებულ ნაწარმოებებს.

ვინ შეიფასებს ყველაზე უკეთ მომღერალს, თუ არა მისი აღმზრდელი პედაგოგი. სწორედ ამ მოსაზრებით ვთხოვეთ შთაბეჭდილების გაზიარება თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის ვოკალური კათედრის პროფესორს, ხელოვნების დამსახურებულ მოღვაწეს **გულნარა ქართველიშვილს.**

— შშობლიური თეატრის სცენაზე გამართული კონცერტი, — გვითხრა მან, — საოპერო ხელოვნების მოყვარულთათვის გადაიქცა დიდ ზეიმად. მომღერლისაგან მოღებული შთაბეჭდილებებით აღსავსე მსმენელები დიდხანს ვერ ტოვებდნენ დარბაზს. ვფიქრობ, არცთუ ისე ადვილია საერთაშორისო კონკურსში გამარჯვების შემდეგ საკუთარ ქალაქში იმავე დონეზე გამართო კონცერტი, რომელმაც ასეთი დიდი წარმატება არგუნა მას.

მიუხედავად იმისა, რომ ისეთ რთულ ნაწარმოებთა ორ განყოფილებაში შესრულება დიდ ოსტატობას და ნაწარმოებების ღრმა შინაარსით გადმოცემის უნარს მოითხოვდა, მაიამ ამას ადვილად გაართვა თავი. მან გვიჩვენა დიდი ხელოვნება და სხვადასხვა სტილის ნაწარმოებების შესრულების დახვეწილი გემოვნება.

კონცერტის პროგრამა შეიცავდა ყველა სტილის — ბაროკოს, კლასიკის, რომანტიზმის, იმპრესიონიზმის ეპოქის ნიმუშებს.

